თელავისა და თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებლები

(პირველად მოწინავე წერილად გამოქვეყნდა „დროებაში“ 1881 წელს (65) სათაურით: „ტფილისი, 25 აპრილი“)

დღეს თბილისის საადგილ-მამულო ბანკის, საზოგადო კრება განიხილავს, სხვათა შორის, ერთ წინადადებას, რომელიც ზოგიერთა მიზეზის გამო, განსაკუთრებით ყურადრების ღირსია. ეს წინადადება მდგომარეობს იმაში, რომ ბანკის წლევანდელი მოგებიდან წმინდა ნინოს სასწავლებელს თელავში მიეცეს ასი თუმნის შემწეობა.

საზოგადოდ, სასწავლებლის შემწეობა, სკოლის დახმარება ყოველი ქების ღირსია: ამაზედ ნაყოფიერს, ამაზედ უკეთესს დანიშნულებას ბანკი ვერ ამოუჩენს თავის მოგების ფულსა. მაგრამ საბანკო კრებამ უნდა კარგად იცოდეს, განსაზღვრული ჰქონდეს, რა საჭიროებას უნდა მოხმარდეს სახელდობრივ შეწირული ფული, რა ნაკლულევანება უნდა შესუსტებულ ან სრულიად მოსპობილ იქნას და რა სენს უნდა დაედოს წამლად.

ჩვენ ძალიან ვეჭვნეულობთ, რომ ეს აზრი გამორკვეული ჰქონდეს კრებას. ჩვენა თითქმის დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ კრება ფულის შეწირვას გადაწყვეტს თელავის “ზავედენიის“ სასარგებლოდ, ამ შეწირულობის დანიშნულებას არ განსაზღვრავს, პირიქით ზედ დაანათლებს ამ აზრსა: ჩვენ კარგი ბიჭობა ვქენით, ფული შემოგწირეთ და ახლა რაზედაც გინდათ, იმაზე მიფლანგეთო.

მაგრამ გონიერი ფილანტროპი თავის დღეში ასე არ მოიქცევა. ის როცა ფულს სწირავს, თანაც ღონისძიებას ხმარობს, რომ მისი შეწირულობა სასარგებლოდ, ნაყოფიერად იქმნას მოხმარებული. ის როდი აძლევს ფულსა ყველა ხელის გამომშვერელსა, ამიტომ რომ კარგად იცის, ბევრი ნაშოვარ-ნათხოვარს ფულის კეთილად-კი არ ხმარობს, ლოთობასა და სხვა ბოროტ საქმეებში იყენებს. როცა იგი ტიტველა კაცისათვის ფულსა მეტულობს, თანაც ხერხსა ხმარობს, რომ ამ ფულით ტიტველი შეიმოსოს და არა ქაღალდის თამაშობაში წააგოს, მაგალითად.

ფული, შეწირული დანიშნულების განუსაზღვრელად რომელიმე სასწავლებლის სასარგებლოდ, შეიძლება სავნებლად იქმნას მოხმარებული. ამ ფულის შემწეობით შეიძლება გააძლიერონ ის სენები, რომელიც სასწავლებელს უნაყოფოდ ხდიან საზოგადოებისათვის. შეიძლება, მაგალითად, ცალკე ზედამხედველი დაიქირაონ იმ განზრახვით, რომ სამშობლო ენის ხმარება ლაპარაკშიაც შეუძლებელი გახადონ. შეიძლება საგნის სწავლების გაძლიერების მაგივრად, ტლინკვა-ცეკვა კიდევ უფრო მომეტებულად გააჩაღონ: შეიძლება ამ ფულით თავისი ყურ-მოჭრილი ყმები ,საზოგადო საქმის და ხალხოსნობის მოღალატენი, დააჯილდოვონ და მომეტებულად წააქეზონ თავისი ლაქიის როლის აღსრულებაში. ერთი სიტყვით, საზოგადოებას თვალები დასწვან იმ მარილით, რომელიც მისგანვე მიუღიათ.

განუსაზღვრელად შეიძლება ფულის შეწირვა, მაგრამ რომელ ქვეყანაში, რომელ საზოგადოებაში? სადაც სასწავლებლები არიან ერთი სისხლი და ერთი ხორცი ერისა, სადაც ისინი დამყარებულნი არიან ნაციონალურს ნიადაგზედ, სადაც ქვეყანას ნამდვილ მამულიშვილთ უმზადებენ, სადაც მართავენ მათ თავის სამშობლოს ერთგულნი და მისი ბედნიერის მომავლის აღმაშენებელნი. ამისთანა სასწავლებელს ყოველგვარი შესაწირავი კეთილად შეერგება და არას დროს შხამად არ ექცევა.

მაგრამ ვინ არ იცის, რომ ჩვენი სასწავლებელნი ისე არიან დაშორებულნი ამ გვარი ბედისაგან, როგორც დაშორებულია ეხლანდელი რუსეთი საფრანგეთის მდგომარეობიდგან? ვინ არა ხედავს ნამდვილის მწუხარებით, რომ ჩვენი სასწავლებლები თითქო განძრახ ყოველ ღონისძიებას ხმარობბენ იმ მიზნისათვის, რათა თავისი მოწაფენი დააშორონ სამშობლო მხარეს, სამშობლო საზოგადოებას, გადააბირონ, დაამახინჯონ და გახადონ თავისი ქვეყნის გამოუსადეგარ წევრებად.

წმინდა ნინოს „ზ ა ვ ე დ ე ნ ი ე ბ ი“ თბილისსა და თელავში მაღალი მიზნის მისახწევად იქმნენ დაარსებულნი. მათ უნდათ მოემზადებინათ ნამდვილად განათლებულნი ქალნი. დემოკრატიული მიმართულებისანი, დემოკრატიული ყოფა-ქცევისანი წინააღმდეგ ქალთა ინსტიტუტისა, რომელიც არისტოკრატის შვილთა ზრდიდა არისტოკრატიული მიმართულებით. მათ უნდა აღეზარდნათ გონიერნი დედანი, მოქმედნი პირნი საზოგადო ასპარეზზედ: მაგრამ ყველა ეს მოლოდინი ფუჭად დარჩა. არც ერთი იმედი საზოგადოებისა არ იქმნა განხორციელებული. ეს სასწავლებლები ზრდიდნენ და ზრდიან არა ნამდვილს გონიერს ქართველ დედებსა, არამედ რაღაც დამახინჯებულს „რ უ ს ი ნ კ ე ბ ს ა“ , რომელთაც არც ქართული იციან ხეირიანად, არც რუსულში არიან დახელოვნებულნი, რომელთაც სამშობლო თითქმის სძულთ და კაცობრიობაც, რასაკვირველია, არაფრად ეპიტნავებათ, რომელნიც, ერთი სიტყვით, თავისას ყველაფერს დაშორებულნი არიან, და სხვისასაც ვერ მისწვდომიან, და ვერას დროსაც ვერ მისწვდებიან, რადგანაც პირველი ხიდი არის პირი მეორისა. ეს სასწავლებლები დიდი ხანია არსებობენ, მაგრამ მათ არ უჩუქებიათ საზოგადოებისათვის არც ერთი დედა, გამოჩენილი გონიერი შვილების აღზრდით, არც ერთი მასწავლებელი, შესამჩნევი მხნეობით, სიმარჯვით და კეთილ-ნაყოფიერი მოქმედებით, არც ერთი მოღვაწე ქართულის მწერლობისა, ლიტერატურისა, მაშინ როდესაც ცხრა მთას იქიდან გადმოვარდნილის მადამ ფავრის პანსიონმა, მოკლე ხნის არსებობაში, ქართული ენისა და ლიტერატურის გვარიანი სწავლის მეოხებით, გამოუზარდა ჩვენს ქვეყანას იმისთანა ნიჭიერი და თავის სამშობლოს მცოდნე და მოყვარე პირი, როგორიც არის ეკატ. გაბაშვილისა, ავტორი მშვენიერის მოთხრობისა „რ ო მ ა ნ ი დ ი დ - ხ ე ვ შ ი“. ასე გასინჯეთ, ღატაკმა მცხეთის სასულიერო სასწავლებელმაც-კი „ზავედნიებზედ“ მეტი სიკეთე მოუტანა ჩვენს ქვეყანას, რადგანაც მოუმზადა გვარიანი სახალხო მასწავლებელი ქალები და სამაგალითო დიასახლისები.

უმთავრესი მიზეზი ამ უნაყოფობისა გახლავთ ის გარემოება, რომ ამ მასწავლებლებს ფეხი არ უდგიათ გამაცხოველებელს ნიადაგზედ. ამ გამაცხოველებელს ნიადაგს შეადგენს ქართული

ფაქტორები: ენა, მწერლობა, ლიტერატურა, გეოგრაფია, ისტორია, ყოფა-ცხოვრება იმ ერისა, რომლიდგანაც გამოდიან მოწაფეები რომელსაც უნდა დაუბრუნდნენ სწავლის დასრულების შემდეგ ღვაწლიანი ცხოვრებისათვის, ნაყოფიერი არსებობისათვის. ყველა მოხსენებული საგნები სწავლის კურსიდან გამოკლებულნი არიან და თუ ასწავლიან რასმე, ისე მცირედ, ისე ვიწროდ და ხშირად ისე უმადურად, რომ სიყვარულის და თანაგრძნობის მაგიერ უღვიძებენ გულში სიძულვილსა, აბუჩად აგდებისა.

აშკარაა, რა საყურადღებო დასკვნა გამოდის ნათქვამიდან ბანკის კრებისათვის. თუ ამ კრებას სურს, რომ მისგან შეწირულმა ფულმა ნამდვილი სარგებლობა მოუტანოს სასწავლებელსა და კეთილად წარმართოს ქართველი ქალების სწავლა-აღზრდა ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ, მიუცილებლად საჭიროა, რომ ამ ფულს თითონვე კრებამ მისცეს განსაზღვრული დანიშნულება. მიმართული დასახელებულ ნაკლულოვანებათა მოსასპობად. ესე იგი, კრებამ უნდა დააწესოს ,რომ ასს თუმანს ფულს სწირავს ქართული ენის, ისტორიის და ლიტერატურის გაძლიერებისათვის თელავის წმინდა ნინოს „ზავედენიეში“.

<u>ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:</u>

სსიპ პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის მოსწავლემ, **ლედი კიპაროიძემ**